ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №62 სხდომის ოქმი

2012 წლის 14 ივნისი **ქ. თბილისი**

დღის წესრიგი:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების წესის განხილვა;

2. ექსპერიმენტალური ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე რექტორის 26.03.12№02-465 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსზე შემოსული განცხადების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
3. ენათმეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე რექტორის 26.03.12№02-465 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსზე შემოსული განცხადების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
4. ნეიროფსიქოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე რექტორის 28.03.12№02-492 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსზე შემოსული განცხადების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
5. სამართლის მიმართულებით სრული პროფესორის თანამდებობაზე რექტორის 03.04.12№02-544 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსზე შემოსული განცხადების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
6. 2012-2013 წლის უნივერსიტეტის აკადემიური კალენდრის განხილვა და დამტკიცება, ასევე 2012-2013 სასწავლო წლის სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უცხო ენების მიმართულებით დოქტორანტის, ნანა ლომაიას სადისერტაციო თემისათვის „ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში“ რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უცხო ენების მიმართულებით დოქტორანტის, ნათია ამაღლობელის სადისერტაციო თემისათვის „ფრანგულ მოკლე ტექსტურ დისკურსში გამოსაყენებელი სამეტყველო ფორმები“ რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უცხო ენების მიმართულებით დოქტორანტის, შორენა შტოიერის სადისერტაციო თემისათვის „მარჯორი უორდროპის მოგვიანებით მიკვლეული თარგმანები“ რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
10. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი სასერტიფიკატო პროგრამების განხილვა და დამტკიცება: 1. მეტყველების განვითარების დარღვევები და ჩარევის სტრატეგიები; 2. კლასში რთული ქცევის მართვის სტრატეგიები: 3. სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები;
11. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი სასერტიფიკატო პროგრამების განხილვა და დამტკიცება: 1.აქტიური სწავლება ქიმიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. 2. აქტიური სწავლება ფიზიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. 3.აქტიური სწავლება ბიოლოგიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. 4.აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-7 კლასში (ინტეგრირებული კურსი) 5. აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურზე;

12. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „სოციალური, ჰუმანიტარული მეცნიერებების და ხელოვნების ინტერდისციპლინარული პროგრამა“ განხილვა და დამტკიცება;
13. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების განხილვა ამავე ფაკულტეტის ფარგლებში ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით აფრასიძე - სხდომის მდივანი;
3. მარინე ჩხიკვიშვილი;
4. მიხეილ ელაშვილი.

2012 წლის 14 ივნისის აკადემიური საბჭოს ხდომაზე დადგინდა:

1. **დამტკიცდეს** თანდართული სახით -„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული პროგრამების ფარგლებში მიღებული განათლების აღიარების წესი“;
2. **დადგინდეს** - ექსპერიმენტალური ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს გიორგი ვეშაპიძე, დაევალოს ადმინისტრაციას, მოამზადოს კონტრაქტი 3 წლის ვადით;
3. **დადგინდეს** - ენათმეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს ელენე ტატიშვილი, დაევალოს ადმინისტრაციას, მოამზადოს შესაბამისი კონტრაქტი 2 წლის ვადით;
4. **დადგინდეს** - ნეიროფსიქოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს თინათინ ჭინჭარაული, ადმინისტრაციას დაევალოს, მოამზადოს შესაბამისი კონტრაქტი 3 წლის ვადით;
5. **დადგინდეს** - სამართლის მიმართულებით სრული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს კონსტანტინე კუბლაშვილი, ადმინისტრაციას დაევალოს გაუფორმოს კონტრაქტი 3 წლის ვადით;

6. **დამტკიცდეს** თანდართული სახით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი.ასევე შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 5 სექტემბრის №54-ე საბჭოს ქომით დამტკიცებულ 2012-2013 სასწავლო წელს სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებაში დ სამაგისტრო საფეხურზე ნაცვლად 885 სტუდენტისა მიღებულ იქნას 1145 სტუდენტი.

7. **დადგინდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დოქტორანტის, ნანა ლომაიას სადისერტაციო თემისათვის „ემოციური დისკურსის პრაგმაკომუნიკაციური ასპექტები იტალიურ და ქართულ ენებში“ რეცენზენტები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: ციური ახვლედიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და მაია ჯავახაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: მაია თევზაძე - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი), ქეთევან გაბუნია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), რეზო მარსაგიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი), იზაბელა ქობალავა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი), ნინო ცერცვაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი);
8. **დადგინდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უცხო ენების მიმართულებით დოქტორანტის, ნათია ამაღლობელის სადისერტაციო თემისათვის „ფრანგულ მოკლე ტექსტურ დისკურსში გამოსაყენებელი სამეტყველო ფორმები“ რეცენზენტები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: ქეთევან ჯაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი; ციური ახვლედიანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დოქტორი. სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: მზაღვე დოხტურიშვილის - სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დოქტორი; მანანა ხოფერია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი; ქეთევან გაბუნია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დოქტორი.
9. **დადგინდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უცხო ენების მიმართულებით დოქტორანტის, შორენა შტოიერის სადისერტაციო თემისათვის „მარჯორი უორდროპის მოგვიანებით მიკვლეული თარგმანები“ რეცენზენტები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით: ათინათ მამაცაშვილი- კობახიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი), ნინო ფირცხალავა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, დოქტორი), ხოლო სადისერტაციო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით - ნინო აბაკელია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, დოქტორი, თამარ ლომიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი, დოქტორი, რეზო მარსაგიშვილი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სრული პროფესორი, დოქტორი, მზაღვე დოხტურიშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

10. **დადგინდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასერტიფიკატო პროგრამები : 1. მეტყველების განვითარების დარღვევები და ჩარევის სტრატეგიები; 2. კლასში რთული ქცევის მართვის სტრატეგიები: 3. სპეციალური საგნმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები;
11. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასერტიფიკატო პროგრამები: 1.აქტიური სწავლება ქიმიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. 2. აქტიური სწავლება ფიზიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. 3. აქტიური სწავლება ბიოლოგიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. 4. აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-7 კლასში (ინტეგრირებული კურსი). 5. აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე;
12. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამა „სოციალური, ჰუმანიტარული მეცნიერებების და ხელოვნების ინტერდისციპლინარული პროგრამა“.
13. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს ღია აკადემიური კონკურსი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე 2012 წლის 3 ივლისიდან. შემოსული განცხადებები განიხილოს და გამარჯვებული გამოავლინოს მეცნიერებათა და ხეოვნების ფაკულტეტმა

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

დავით აფრასიძე